ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 26

ორშაბათი, 14 მარტი

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 26

ორშაბათი, 14 მარტი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. 50 კაპ., თვეში 1 მანეთი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წერილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საჯარო ბიბლიოთეკა

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1905 წ. გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაც.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები.**

გაზეთის ფასი: 1 მარტიდან წლის დამლევამდის 8 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

12 მარტს სოფ. მუხრანში გარდაიცვალა

კნეინა ეკატერინე იაკინთეს ასული ბაგრატიონ-მუხრანსკისა,

რასაც შვილნი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ. პანაშვიდები ყოველ-დღე, საღამოს 7 საათზე. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ეტლები ქსნის სადგურზე ყოველ დღე იქნება მატარებლების მოსვლის დროს.

2—2

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. ყ. ჩიქოვანი —9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აჯეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. ჰ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ე. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს, (მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

დისამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

პ. ი. ჟიჟინაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა 9½—10½ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

პ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 12—1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ქ. ნ. დისამიძე. — ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაწაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი — 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

ოფიციალური ცნობა.

(„კავკაზი“ № 68)

28 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე, შორაპნის მაზრის სოფ. ხიდარისა და ვარძიას მცხოვრები გლეხები, 350-მდე კაცი, შეგროვდნენ ერთად და დაიწყეს ყვირილი: „ურა! ახლა ძველი დრო აღარაა; ახლა თავისუფლება, ძმობა და ერთობაა! ძირს ძველი მართვა-გამგეობა!“ და სხვა ამგვარები. ამის შემდეგ ჯერ გაემართნენ კიცხის სამინისტროს ორ-კლასიან სასწავლებლისაკენ, გარეკეს სკოლის მსახურნი, შეამტვრიეს კარები, ფანჯრები, შევიდნენ სკოლაში, დაამსხვრიეს შკაფები, მაგიდები, სკამები, ნაკუწ ნაკუწად აქციეს აგრეთვე ხელმწიფე იმპერატორის სურათი და ყველა წიგნები და საბუთის ქაღალდები, რაც კი სასწავლებელში იყო. ამის შემდეგ სასწავლებლიდან ხალხი გაემართა კიცხის სასოფლო კანცელარიისაკენ და გაანადგურა ყველაფერი, რაც კი კანცელარიაში იყო, ხოლო წიგნები, მოწმობანი და სხვა საბუთის ქაღალდები გარედ გამოიტანა და ნაკუწებად აქცია. აქედან ხალხი, გაემართა სოფ. ვარძიას, აზნაურ ივანე ყიფიანის სახლში. სადაც ბინადრობს კუნძულ კიპრის ბერძენთა მონასტრების ქონებათა გამგე არქიმანდრიტი სამოელი. დაინახა თუ არა არქიმანდრიტმა გლეხები—დაიმალა. ხალხი შევიდა ეზოში, დაამსხვრია კარები, ფანჯრები და სახლის ყოველგვარი ავეჯეულობა; გამოიტანა გარედ ერთი ყუთი, ამოალაგა, რაც შიგ საბუთის ქაღალდები და წიგნები იყო, დახია ყველა, გადაჰყარა და წავიდა. როგორც არქიმანდრიტი სამოელი აცხადებს, ყუთში ყოფილა შენახული საქართველოს მეფეთა სიგელ-გუჯრები, რომლის ძალითაც ბერძენთა ხსენებული მონასტერი ჰფლობდა უძრავ ქონებათა. იმავე დღეს, საღამოს, ხალხის ერთმა ნაწილმა შეამტვრია ყიფიანის სახლის ფანჯრები (ყიფიანი ოჯახობითურთ სხვაგან იმყოფება), შევიდა შიგ და სახლში მყოფთ მოკვლას დაემუქრა, შემდეგ გასტეხა კამოდი, დახია, რაც შიგ ქაღალდები იყო, და წაიღო ორი სანადირო თოფი და ერთი ნაბადი. ხალხმა ამასთანავე წინადადება მისცა რაჭველ ხუროებს, რომელნიც ყიფიანის სახლს აშენებდნენ, მუშაობას თავი დაანებეთო.

დუშეთის მაზრაში, სოფ. ძალისისა და მჭადის-ჯვარის მცხოვრებლებმა მუხრანის საუფლისწულო მამულისა და სოფ. მუხრანის ზოგიერთ ადგილებში ნება-დაურთველად ტყე გაჰკაფეს. 5 მარტს მუხრანის სასოფლო კანცელარიაში მიწვეულ იქმნენ ხსენებულ სოფლების წარმომადგენელნი, მაგრამ სამის ნაცვლად, კანცელარიაში გამოცხადდნენ 14 სოფლის წარმომადგენელნი, მათ შორის ზოგი მუხრანის საუფლისწულო მამულებში მოსახლე, ზოგი სახაზინო ადგილებში დასახლებული და ზოგიც თავად-აზნაურთა მიწა-წყალზედ მყოფი. როდესაც მცხოვრებთა, ამნაირ თვითნებობის მიზეზებს იკვლევდნენ, ჯერ სოფლის რწმუნებულნი, ხოლო შემდეგ კი ყველა იქ მყოფნი, ასე 800-მდე კაცი, წამოდგა წინ, ზოგნი ჯოხებითა და ზოგნიც თოფ-რევოლვერ-ხანჯლებით შეიარაღებულნი, და წარადგინეს სიტყვა-სიტყვით ქვემოდ მოყვანილი მოთხოვნილებანი:

I.—უნდა შემცირდეს სოფლის საზოგადოებები, ყოველ სოფელს უნდა მიენიჭოს უფლება იყოლიოს დეპუტატები და ამ დეპუტატებს უნდა შეეძლოთ უაპელაციოდ ყველა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების გარჩევა, თუ საქმე მოხდა იმ სოფლის საზღვრებში; ეს უფლება უნდა შეიქმნეს განუსაზღვრელი. სოფელში მცხოვრებ სხვა წოდების წარმომადგენლებს გლეხებთან თანასწორი უფლება ეძლევათ. ისინი, ვინც არ ჩაეწერება სოფლის საზოგადოებაში, ჰკარგავენ ყოველსავე კავშირს სოფელთან.

II.—სოფლის საზოგადოებებს უნდა გადაეცეს სრულ საკუთრებად ხაზინის, საუფლისწულო და კერძო ადგილ-მამული, სახნავ-სათესი და ტყე. ამ ადგილებში არ უნდა გადახდეს სოფელს არავითარი ბეგარა, გარდა მცირე გადასახადისა ხაზინის სასარგებლოდ საუკეთესო ადგილებში.

III.—მღვდლებს უნდა დაენიშნოთ ჯამაგირი და სხვადასხვა მღვდელმსახურებისთვის ფასის მიცემა უნდა იყოს დამოკიდებული თვით გლეხებზე და ამაში არ უნდა ერეოდეს მთავრობა.

IV.—ჯარში გაყვანილი პირები მხოლოდ ტფილისის გუბერნიაში მყოფ ჯარებში უნდა ჩაირიცხოს და ომიანობის დროსაც ამიერ-კავკასიის იქეთ არსად არ უნდა გაიყვანონ ხოლმე.

V.—სასწავლებლების დაარსება უნდა ხდებოდეს გლეხების განკარგულებით. სოფლად უნდა იყოს მხოლოდ სამეურნეო სასწავლებლები და სწავლება უნდა აწარმოებდეს ქართულად და ზოგი რამ რუსულადაც.

VI.—უნდა მოისპოს აქციზი და სააქციზო ზედამხედველობა.

VII.—უნდა იქმნეს შემოღებული პრესსის სრული თავისუფლება.

VIII.—უერთდებიან იმ რუსებს, რომელთაც ეძახიან „ბუნტოვჩიკებს“.

IX.—ზემოხსენებულის აღსასრულებლად დადებულია ვადა 14 მარტი, რის შემდეგაც თავისუფალნი არიან მოიქცნენ ზემოდ ნათქვამის შესახებ თავიანთ სურვილზე.

მშვიდობიანობის აღსადგენად, სამაზრო ადმინისტრაციის დასახმარებლად და მუხრანის მახლობლად მოჩეხილ ტყის და აკლებულ ყანების ღირებულების გადახდევინების საქმეში იგზავნება ერთ ბატალიონი ქვეითა ჯარი და ამ ჯარის შენახვა უნდა დაევალოს სამ სოფელს [წილკანს, ძალისსა, და მჭადის-ჯვარს—სულ 550 მცხოვრებს], რომელნიც ამ საქმეში უფრო დამნაშავე აღმოჩნდნენ.

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

12 მარტი.

ბერლინი, 12 მარტი. მთავრობამ წინადადება მისცა პრუსიის პალატას, გადასდოს 15 მილიონი მარკა მუშათა საცხოვრებელ ბინების გასაუმჯობესებლად.

ბათუმი, 12 მარტი. გაზეთების ცნობა, ვითომ ნავთის გატანა შეჩერდაო, მართალი არაა. ნავთი დაუბრკოლებლად გააქვთ. ბნიტოს ქარხანამ განაახლა ნავთის უეთებით გემების ტვირთვა. გემის დატვირთვას აფიცერი ხელმძღვანელობს.

სამარა, 12 მარტი. საბჭო შუამდგომლობს, რომ მინისტრ ბულიგინის საკანონმდებლო საბჭოში მიწვეულ იქმნას ქალაქ სამარის წარმომადგენელი.

ვოლოგდა, 12 მარტი. გუბერნიის მარშლად 39 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 3 ხმისა, არჩეულ იქმნა ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე ანდრეევი.

ოდესა, 12 მარტი. დაიწვა ხე-ტყის საჭრეხი ქარხანა ტრაბოტტისა. ზარალი 60 ათასი მანათია.

ლონდონი, 12 მარტი (რეიტერი). «დელი მეილი» იუწყება, ბრიტანიის მისსია ისევ ქაბულშიაო. ემირი სცდილობს, შეაგვიანოს მისსიის მიერ აღძრულ ზოგიერთ საგანთა განხილვა.

ლაკანე (კრიტის კუნძულზე), 12 მარტი. საბერძნეთის ბატონიშვილის მართვა-გამგეობით უკმაყოფილო მცხოვრებნი მთაში გაიხიზნენ. ჟანდარმებმა ვერ შესძლეს მათი იქიდან გამოდევნა. ორი ჟანდარმი დაიჭრა.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება ფინანსთა მინისტრის მიმართ: სახელმწიფო ხაზინის საშუალებათა გასაძლიერებლად და იმ ხარჯების დასაფარავად, რომელიც იაპონიასთან ომმა გამოიწვია, თანხმად ფინანსთა კომიტეტის-მიერ განხილულის თქვენის მოხსენებისა, კეთილად ვცან გამოიცეს სახელმწიფო შინაგანი სესხი. ამიტომ გიბრძანებთ თქვენ მიერ აღნიშნულ თანდათანობით გამოსცეთ 5% სესხი ორას მილიონ მანეთის სახელობითი თანხისა შემდეგის პირობებით: 1) ეს სესხი უნდა აღინიშნოს სახელმწიფო ვალების წიგნში 1905 წლის შინაგან 5% სესხის სახელით. 2) ამ სესხის ობლიგაციები უნდა იყვნენ სახელობითი (ИМѢННЫЯ) და უსახელო (предъявительскія) ასისა, ორასისა, ხუთასისა, ათასისა და ხუთი ათასის მანეთის ღირებულობისა. 3) სახელობითი ობლიგაციების შესახებ, მათის ერთი ხელიდან მეორეში გადასვლისა და მათის უსახელოდ გარდაქმნის და შეცვლის წესი თქვენ უნდა შეიმუშავოთ. 4) ობლიგაციებით შემოსავლის რაოდენობა უნდა უდრიდეს წლიურ 5% და შემოდიოდეს ორ ვადად, 1 მარტსა და 1 სექტემბერს. ამ ვადისთვის ობლიგაციების კუპონები უნდა წარედგინებოდეს სახელმწიფო ბანკს ან მის განყოფილებათ, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც სახელმწიფო ბანკის განყოფილება არ არის—საქალაქო ხაზინებს. გარდა ამისა კუპონების წარდგენა იმ დაწესებულებაშიაც შეიძლება, რომელთაც თქვენ დაასახელებთ. პროცენტი იანგარიშება 1905 წლის 1 მარტიდან. 5) ობლიგაციების პროცენტები თავისუფალია იმ გარდასახადებისაგან, რომელიც თანხის შემოსავალს ადება. 6) ვადის შესრულებისას კუპონებს ათი წლის განმავლობაში არ ეკარგებათ ვადა, ხოლო ობლიგაციებს—ოცდაათი წლის განმავლობაში. მაგრამ სესხის ობლიგაციების გამოსასყიდად უნდა დაარსდეს განსაკუთრებული ფონდი. ამ ფონდის შესადგენად ყოველ წელს—49 წლის განმავლობაში—უნდა გადაიდოს სესხის სახელობითი ჯამის 0,503965 პროც—ყველა განაღდებულ ობლიგაციების ხუთი პროცენტის მომატებით. 8) გასანაღდებელ ობლიგაციების ტირაჟში გამოსვლა ამ წლიდან დაწყობილი ყოველ წლის ნოემბერში უნდა მოხდეს. ტირაჟში გამოსული ობლიგაციები უნდა გამოსყიდულ იქმნას სამის თვის შემდეგ. 9) 1917 წ. პირველ მარტამდის, მე-7 მუხლში ნაჩვენები პროცენტი არ გაიზრდება და აგრეთვე ამავე დრომდე ამ სესხის არც განაღდება და არც კონვერსია მოხდება. 10) ის უპირატესობანი და უფლებანი, რომელნიც ამ სესხის ობლიგაციებს მიეცემა თქვენგან, აღნიშნული უნდა იყოს ამ სესხის გამოცემის დროს“. დედანს მის იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელით აწერია „ნიკოლოოზ“. ფინანსთა მინისტრისაგან კი აღნიშნულია „ცარსკოე სელო, 12 მარტი 1605 წ.“. ფინანსთა მინისტრი სტატს-სეკრეტარი კოკოვცევი.

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრის განკარგულება. 1905 წლის 12 მარტის თარიღით უმაღლესად ბოძებულ ბრძანების შესასრულებლად ფინანსთა მინისტრი საყოველთაოდ აცხადებს 1) 1905 წ. ხუთ პროცენტიან შინაგან სესხის ასაღებად გამოიცა ორას მილიონ მანეთის ღირებულების სახელობითი ობლიგაციები. ამ მილიონს საზოგადო ხელისმოწერით განაღდებენ სახელმწიფო ბანკი, მისი განყოფილებანი და ქვემოდ ჩამოთვლილი კერძო საკრედიტო დაწესებულებანი: ვოლგა-კამის საკომერციო ბანკი, პეტერბურგის საერთაშორისო საკომერციო ბანკი, პეტერბურგის დამგირავებელ-გამსესხებელი, რუსეთ-ჩინეთის ბანკი, მოსკოვის სავაჭრო ბანკი, მოსკოვის ვაჭართა ბანკი, მოსკოვის უჩოტნი ბანკი, აზოვ-დონის საკომერციო ბანკი, რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ბანკი პეტერბურგში, ციმბირის სავაჭრო ბანკი, ვარშავასა და პეტერბურგში გ. ვაველბერგის ბანკი, ვ. იუნკერის და ძმათა ჯამგაროვების საბანკო სახლები. 2) ხელის მოწერის პირობები გამოცხადებული იქნება იმ პროგრამებში, რომელსაც პირველ მუხლში დასახელებული ბანკები გამოსცემენ. 1905 წლის ხუთ-პროცენტიან შინაგან სესხის ობლიგაციები და აგრეთვე დროებითი მოწმობები ნახევარ წლის ვადით გაბარებულნი მიღებულ იქმნებიან იმ ფასში, რომელსაც, თანახმად არსებულ დებულებათა, განაწესებს ფინანსთა მინისტრი: სახელმწიფო იჯარებით, სააქციზო გადასახადის შემოტანით და სავაჭრო გარდასახადის უზრუნველ-ყოფით. ხელს აწერს ფინანსთა მინისტრი სტატს სეკრეტარი კოკოვცევი.

ზემოხსენებულ ვალის განაღდება იკისრეს რუსეთის ბანკებმა.

მინსკი. 12 მარტი. ომში გაწვეულთა ოჯახების დასახმარებლად და სამაზრო კომიტეტთა მოქმედების გასაერთიანებლად საგუბერნიო საერობო კომიტეტმა დაადგინა არ ისარგებლოს დახმარების აღმოჩენის დროს მთავრობისაგან შემოღებულ წესებით და ყველას ნამდვილ საჭიროების დაგვარად დაეხმაროსო.

კოპენჰაგენი 12 მარტი.—მეფე ედუარდი ჩამოვა აქ გაზაფხულზე და რამოდენიმე ხანსაც დარჩება. დედოფალ ალექსანდრას მოელიან მეფე ქრისტიანეს დაბადების დღეს.

რომი. 12 მარტი. გერმანიის დედოფალი ჩავიდა ჩივიტა-ვეკკიაში ნაშუადღევს. დედოფალს აქ დაუხვდნენ მეფე და მისი მეუღლე.

ლონდონი. 11 მარტი. რუსების საწინააღმდეგო აღელვებამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. შიშობენ, რომ სხვა ევროპიელებსაც იგივე ბედი არ ეწიოს სპარსეთში. ჩრდილო-სპარსეთში იმდენად სუსტია შაჰის ძალა, რომ საფიქრებელია, ხალხის აღელვებას ვერც გააჩერებს.—გერმანული გემი, „მიუნხენი“ დაქირავებულია პორტ-არტურელების ოდესამდის გადასაყვანად. იაპონიის სესხზე ხელის მოწერა დაიწყება 16 მარტს, ეს სესხი ბანკირებს ესლავე აძლევს 2% მოგებას.

სტამბოლი. 12 მარტი. ბოლგარიის დიპლომატიური აგენტი ნაჩევიჩი, დიდი ხნის მოუსვლელობის შემდეგ, გუშინ წარსდგა პორტაში. ამბობენ, გუშინ ადრიანოპოლის ვილაიეტიდან გაქცეულებმა შინ დაბრუნება დაიწყესო.

კანეა, 11 მარტი. დღეს ფერისეს მიდამოებში თავი მოიყარა 600 ოპოზიციონერმა, საერთაშორისო ჯარები კაზარმებში დგანან და ელიან მათ უფროსის ბენედეტის ბრძანებას.

ნოვოროსსისკი, 11 მარტი. გუშინ სოჩაში გადაიწვა 40 დუქანი. ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერ არ იციან.

ასხაბადი. 12 მარტი. რუსულ საკონსულოს უფროსი დეპეშით იტყობინება მეშედიდან, რომ არეულობა დაწყნარდა. ზარალი დიდია. რუსის ქვეშევრდომები ჯერ საკონსულოში არიანო.

მოსკოვი, 12 მარტი. 20 მარტიდან დაწყებული ირკუტსკში ყოველ დღე ჩამოვა ბრძოლის ველიდან 300 სნეული და დაჭრილი, რუსეთში გასაგზავნად. გუბერნიის საერობო კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს, თავისუფალი იყოს ცენზურისაგან გაზეთებში საერობო კრების ანგარიშები. დამტკიცებულია 2.200.000 მანეთის ხარჯთ-აღრიცხვა. ღარიბ სტუდენტების დამხმარე საზოგადოებამ გადასწყვიტა შეიტანოს სწავლის ფული მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, ვისაც გამორიცხვის შემდეგ სამხედრო ბეგარა ხვდება. დანარჩენების შესახებ საზოგადოება სწავლის ფულის პატიებას მოითხოვს.

კურგანი, 12 მარტი. მოწაფეთა დამხმარე საზოგადოებამ გადასწყვიტა ეთხოვოს, რომ მშობლების თანადასწრებით გამოირკვეს ის შემთხვევა, რომელიც ადგილობრივ გიმნაზიაში მოხდა და მთელ საზოგადოებას აღელვებს.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

12 მარტი.

პეკინი, 12 მარტი. მუკდენთან გამოქცეულნი ჩინელნი იუწყებიან, იაპონელები მეტის-მეტს ძალ-მომრეობას სჩადიანო; ადგილობრივ ვაჭრებს 8 ასი ათასი ლანი ძალით წაართვესო. უფრო სასტიკად ექცევიან იმ ჩინელებს, რომელთაც რუსებთან კარგი განწყობილება აქვთ. 20 ასეთი ჩინელი დააპატიმრეს. იაპონელები სიკვდილს ემუქრებიან ჩინელებს და ისინიც ყოველგვარ ცნობას აწვდიან. იაპონელებმა მოსთხოვეს ძიანძიუნს, მოსძებნე გაქცეული ჩინელები და გადმოგვეციო.

ბერლინი, 12 მარტი. აქაური ფინანსისტები ამბობენ, ინგლის-ამერიკის სინდიკატმა ძალად გამოგვერიცხა იაპონიის სესხში მონაწილეობის მიღებიდანო. ბაზრების მედგარ ქიშპობის მეოხებით, იაპონიამ მოახერხა 4½% 30 მილიონ გირვანქა სესხის შოვნა 20 მილიონის მაგივრად და თანაც თითქმის იმავე პირობებით, როგორც წინად აღებული 6% სესხი. სინდიკატმა სესხი მიიღო 86½, ხოლო გამოსცემს 90 კურსით.

ნოვგოროდი-ჩრდილოეთისა, 12 მარტი. მაზრის თავად-აზნაურთა გუშინდელს კრებაზედ დაადგინეს, კუროპატკინს თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნონ.

პეტერბურგი, 12 მარტი. ყველა აფიცერს და სახელმწიფო სამსახურში მყოფთ და სათნოების დებს, რომლებიც უკანასკნელ დღემდის პორტ-არტურში მსახურობდნენ, საჩუქრად მიეცემა ოთხი თვის ჯამაგირი, ხოლო ტყვედ წაყვანილ ყოველ ჯარის კაცს—25 მანათი.

პორტ-საიდი, 12 მარტი. ბალტიის ესკადრის უკანასკნელი გემები არხში შევიდნენ.

სუეცი, 12 მარტი. ტრანსპორტი „კოსტრომა“ არხიდან გამოვიდა.

პარიზი, 12 მარტი. პელლეტანი ამბობს საფრანგეთი ომიანობის მოსასპობად საქმეში უნდა ჩაერიოსო, რუსეთი გამარჯვებულიც რომ გამოვიდეს, მაინც დასუსტებული იქმნება და მასთან კავშირს ყოველივე მნიშვნელობაც დაეკარგებაო. პელლეტანი ომის დაწყებამდისაც ამტკიცებდა, რუსეთი სავსებით ვერ გადიხდის საფრანგეთში აღებულ ვალებსო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-2 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ომის ამბები. ბრძოლის ველიდან არავითარი ცნობა არ მოდის. თითქო ყველაფერი მიყუჩდა და გაშეშდაო, მაგრამ ნამდვილად ეხლა ბრძოლის ველზე ბრძოლაზე უარესი ამბები ხდება: რუსეთის ჯარს უკან დახევა საშინლად უჭირს; გზები არ ვარგა, სურსათი და სხვა საჭირო საქონელი აკლია; ჯარი მოქანცულია, დაღლილია და ძლივს მოლასლასებს. იაპონელები იუწყებიან, ყოველ დღე რუსები ასობით მოდიან იაპონელებთან და ტყვედ ნებდებიანო. ახლომახლო სოფლები გაპარულ რუსებით გაივსო. რამდენიმე ათასი კაცი აქეთ-იქით გაიფანტა და გზა დაბნეულმა აღარ იცის რა ქნას.

იაპონიური გაზეთები სწერენ, იაპონიის ჯარი არამცა და არამც არ უნდა ჩამორჩეს რუსებს და სულ ფეხდაფეხ უნდა მიჰყვესო. იაპონელებიც სწორედ ასე იქცევიან. სწრაფად, მარდად და მხნედ მისდევენ რუსებს, მოსვენებას არ აძლევენ და თვალს არ აშორებენ. თუმცა ომის დასაწყისს თითქმის მთელი რუსეთი ყვიროდა, იაპონელებს ცხენოსანი ჯარი არ უვარგა და ჩვენი ყაზახები სულ მუსრს გაავლებენო, მაგრამ საქმე უკუღმა წავიდა. რუსებს ცხენოსანი ჯარი ოთხჯერ მეტი ჰყავდათ იაპონელებზე, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგა, ყაზახებმა იაპონელებზე ოთხჯერ ნაკლები საქმე გაარიგეს.

ეს ცხადად დამტკიცდა მუკდენის ბრძოლის დროს. რუსეთის განთქმულმა ყაზახებმა ისიც კი ვერ გაიგეს, რომ 120,000 იაპონელმა ცხვირ წინ გაუარა და გვერდიდან მოექცა. რუსების-დევნის დროსაც იაპონელთა ცხენოსანმა ჯარმა დიდი სიმამაცე, სიმხნევე და გაბედაობა გამოიჩინა და რუსებს საქმე ძალიან გაუჭირა. გენერალ ლინევიჩიც იუწყება, 9 მარტს იაპონელთა ცხენოსნებმა ჩვენი ცხენოსნები დაამარცხეს და უკან დაახევინესო.

ტოკიოდან იუწყებიან, ჩანტიფუ იაპონელთა ცხენოსანმა ჯარმა აიღოო (რ. ვ.).

იაპონელთა ძალა. მუკდენის ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა გამოაცხადეს, რუსებს იმდენი დავლა წავართვით, რომ იმის დათვლას კარგა ხანს მოვუნდებითო. მერე გამოაცხადეს, მუკდენთან დატყვევებული 45,000 რუსი იაპონიაში გამოიგზავნა,—და დანარჩენ ტყვეებსაც ამ ცოტა ხანში გამოვგზავნითო. ეხლა იუწყებიან, ტყვე რუსების ერთი ნაწილი—450 აფიცერი და 48,000 სალდათი მუკდენის მიდამოებში დავაბინავეთო. აქედან სჩანს, რომ იაპონელებს 94,000 რუსი დაუტყვევებიათ, მაგრამ, როგორც დეპეშებიდან სჩანს, ეს რიცხვი სრული არ უნდა იყოს (რ.).

საით იწევენ რუსები. ყველანი ამბობენ, რუსები უეჭველად ხარბინამდე ავლენო. გაზეთები სწერდნენ, თუ იაპონელებმა ჩაწტიფუს ჩრდილოეთით რუსებს გზა არ მოუჭრეს, რუსები რკინის გზას გაჰყვებიან და ხარბინამდე ივლიანო. „ტაიმს"-ის კორესპონდენტი იუწყება, იაპონელებმა ჩანტიფუს ზემოდ რუსებს გზა მოუჭრესო. რუსებმა აღმოსავლეთისკენ გადაუხვიეს და გირინის გზით აპირობენ ხარბინში ასვლასაო (რ.).

სხვადასხვა ამბები. „ტაიმს"-ის კორესპონდენტი იუწყება, რუსებს მანჯურიაში სულ 300,000 კაცი ჰყავთო; ამ რიცხვში ვლადივოსტოკისა, რკინის გზის მცველ რაზმისა და სხვადასხვა ქალაქების მეციხოვნე ჯარიც ნაანგარიშევიაო (ნ.).

იანვარში იაპონელებმა განიზრახეს რუს ექიმებს, რომელნიც პორტ-არტურში დარჩნენ და ავადმყოფებს უვლიდნენ, ჯამაგირი დაუნიშნოთ. რუსების უფროსმა ექიმმა ჯამაგირების სია შეადგინა და იაპონელ გენერალს წარუდგინა. გენერალმა სია გადაათვალიერა და ჰკითხა, ეს თვიური ჯამაგირია თუ თვიურიო? წლიურიო, — უპასუხა რუსმა. ეს ამბავი იაპონელ გენერალს თურმე სიცილად არ ეყო. მაგოდენა ფულით ჩვენ ერთ დივიზიას შევინახავთ ერთი წლის განმავლობაშიო. მე გენერალი ვარ და თვეში 75 მანათი მაქვს ჯამაგირი, თქვენ ექიმებს კი 500 მანათი ეძლევაო (ო. ნ.).

„ნ. ფ. პრ."-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: რუსეთის ჯარი მდინარე სუნგარის ნაპირებთან გაჩერდება და ეცდება იაპონელები გაღმა არ გაუშვასო (რ.).

გერმანელი სამხედრო საქმის მცოდნენი ამბობენ, გენერალი ლინევიჩი რუსეთის ჯარის უფროსად დროებით დანიშნესო (ნ.).

ახალი ამბავი

ქუთაისიდან გვწერენ: „დღეს, 11 მარტს, ადგილობრივ კლუბის დარბაზში ახლად ჩამოსულ **გენერალ-გუბერნატორს ჯამბაკურ-ორბელიანს** წარუდგნენ ყველა ადგილობრივ დაწესებულებათა წარმომადგენლები, რომელთაც გენერალმა მიმართა სიტყვით და თხოვა დახმარება გაუწიონ მას ხალხის დამშვიდების საქმეში. მე ვეცდები, — თქვა მან, — ჩემი მოქმედებით ხალხში მღელვარება არ გამოვიწვიო და, თუ ხალხმა მაინც თავი ვერ შეიკავა, იძულებული ვიქნები მონიჭებული უფლებების ძალით კანონი მკაცრად განვახორციელო და აღარც არავის მოვერიდებიო."

✦ თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში შემდეგის სოფლების **გლეხებმა**: ზვარის, ჩდილის, ნუნისის და ხარაგოულისა (შორაპნ. მაზრ.) **ერთმანეთს შეჰფიცეს არავითარ საქმისთვის სახელმწიფო დაწესებულებებსა და მოხელეებს არ მიმართონ** და თვისი საქმეში მათთანვე არჩეულ პირებს გაარჩევინონ. ამაშუკეთის საზოგადოების გლეხებმა განდევნეს სასოფლო თანამდებობის პირნი. სოფ. ერენოს (ამაშუკეთის საზ.) დროებით ვალდებულმა გლეხებმა, რიცხვით 80 კაცმა, ადგილობრივ მემამულეს თავ. ნიკ. აბაშიძეს ძალით 100 ფუთი სიმინდი წაართვეს. („კავკ.").

✦ **ს. ქარელში პარასკევს, 11 მარტს, შეგროვდა 400 კაცი** და გადაწყვეტილებისამებრ მიუხტა ივ. ივ. ციციშვილს, რომელსაც თავის სახლის გვერდზე სასმელების დუქნის შენობა აქვს იჯარით გაცემული და ამავე ეზოში აუზიანი წყარო აქვს გამართული. წყარო ამ უბანში ერთად-ერთი სასმელი წყალია მცხოვრებთათვის და თ-დ ციციშვილისაგან, რამდენიმე ხანია, მცხოვრებთ აღკრძალული ჰქონდათ ამ წყაროთი სარგებლობა. ხალხმა დუქნის ეზო დაანგრია და წყარო გახსნა. ამ არეულობის დროს იქ იყო 4 სტრაჟნიკი. ხალხმა მოსთხოვა მათ წასვლა და ისინიც წავიდნენ. აქედგან ხალხმა ჩამოიარეს და ყველა თავადებს მოსამსახურენი წაართვა. ეხლა ქართველ თავადებს აღარა ჰყავთ სახლში აღარც პურის მცხობელი, აღარც მოსარეცხე, აღარც ხელზე მოსამსახურე და სხვა მოჯამაგირეები. საღამოზე გორიდან ამოვიდა მაზრის უფროსის თანაშემწე 20 სტრაჟნიკით.

✦ **სოფ. ერთაწმინდიდგან** (გორის მაზრა) **გვატყობინებენ**, რომ „იქაურ გლეხკაცობას მოუყრია თავი და მოულაპარაკნია თავიანთ დღევანდელ ჭირ-ვარამზედ. რადგანაც ამ სოფლის მიდამოებში ბლომად არის სახელმწიფო მამულები, ამიტომ დაუვალებიათ სამი კაცისათვის აღძრან შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, გლეხკაცობას ნება მიეცეს ამ მამულების ხმარებისაო, გლეხკაცთა ყრილობასვე მოუთხოვია, რომ საკომლო გადასახადები შეძლებისა გვარად იქნეს განაწილებული.

✦ 6 მარტს ღამის პირველ საათზე, **მალითას სადგურთან** ვიღაც უცნობმა პირებმა **დასწვეს ხის სახლი**, სადაც ბეკათუბნის სოფლის კანცელარია, ეს სახლი და კანცელარიის ყველა ქაღალდები და საბუთები გადაიწვა.

იმავე დღეს სადგურ ბელაგორთან, ხარაგულის საზოგადოებამ, სულ 200-მდე კაცმა, **გაანადგურა ადგილობრივი სოფლის კანცელარია** და დახიეს ყველა იქ ნახული საბუთი და ქაღალდები.

✦ **მარელისის** 3 ვერსის მანძილზე, რკინის გზის ლიანდაგის მახლობლად, გლეხებმა **მოუკიდეს ცეცხლი ტყეს**, რომელიც ადგილობრივ თავად-მემამულეებს ეკუთვნის. ტყე დაიწვა, სიგრძით ერთ ვერსზე და სიგანით 200 საჟენზე. (კავკ.).

✦ **კავკასიის მრეწველობის კომიტეტს უკანასკნელ სხდომაზე** მოხსენდა ის გარემოება, რომ კავკასიის მრეწველები ბლომად ხმარობენ ბზას საოჯახო სხვადასხვა ავეჯის გასაკეთებლადო; ეს ხელობა მათ ცოტა ლუკმასაც კი აძლევს, რადგანაც გამოაქვთ ბაზარში და ნაღდ ფულზედ ყიდიან და მით ისტუმრებენ ზოგიერთა გარდასახადსაო; მიუხედავად ამისა, სახელმწიფო და კერძო პირების ტყეები, მრეწველთათვის შეკრულია რადგანაც სასურველია, რომ ეს მრეწველობა ხალხში გავრცელდეს და ხელიც შეეწყოს, ამიტომ კომიტეტმა განაცხადა სურვილი აღძრას შუამდგომლობა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის წინაშე, რომ გლეხკაცობას მიეცეს ნება შეღავათიან პირობებით გამოზიდოს ბზის ხე სახელმწიფო ტყიდანო.

✦ **ქალაქის მოურავმა მიმართა სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს** ს. პობედიმოვს და სთხოვა მოიხმეთ სასწავლებლის შეგირდები და აუხსენით, რომ მათ მიერ სწავლის შეწყვეტა ძალიან სამძიმო იქნება მათთვისვე, როგორც ღარიბი ოჯახის შვილებისთვის, და ამასთანავე შეგირდებს სახელოსნოებში თავისუფლად მუშაობისა და შესვლა-გასვლის ნება მიეცითო.

✦ **ტფილისის გუბერნატორმა მიმართა ქალაქის თვით მმართველობას და სთხოვა** შემატყობინეთ ამჟამად მტკვარზე რამდენი ნავი მუშაობს, რა ფასია დადგენილი თითო კაცის გადაყვანაზე და როდის ან ვინ დაამტკიცა ეს ფასებიო; ამასთანავე შემატყობინეთ, რა პასუხი მიიღო ბ-მა ფედოტოვმა ქალაქის თვითმმართველობისგან, რომელიც ხიდის გაკეთებას კისრულობდა დიდუბის ეკკლესიისა და საარტილერიო ყაზარმების გასწვრივ და ან რითი გათავდა მოლაპარაკებაო.

✦ ქალაქის საბჭოს-მიერ პეტერბურგში გასაგზავნად **არჩეული დეპუტაცია**, რომელმაც უნდა იშუამდგომლოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რომ **კავკასიის წარმომადგენელნიც იქმნენ მიწვეულნი** მის თავჯდომარეობით შემდგარს საგანგებო საკანონმდებლო საბჭოში, პეტერბურგს მიემგზავრება სამშაბათს, 15 მარტს.

✦ არქიმანდრიტი კომიტას დიდ-მარხვის მეხუთე კვირაში ტფილისში ორის **სასულიერო კონცერტის** გამართვას აპირობს (მშაკი).

✦ მირზა ჯალილ-მაჰმედ-კულიევს ნება მიეცა ქ. ტფილისში გამოსცეს ყოველ დღე რუსეთისა და პეტერბურგის **სააგენტოების დეპეშები თათრულ ენაზე** („მშაკი").

✦ ის ცნობა, რომელიც გაზეთებში იყო დაბეჭდილი, ვითომ **გურიაში ხელ-ახლად აპირობდნენ დაკეტილ წიგნთ-საცავების გახსნას ტყუილი ყოფილა.** ამაზე ლაპარაიც არსად აღძრულა (კავკ.).

შეცდომის გასწორება. „ივერიის შაბათის № 24-ში საბჭოს ანგარიშში, გაზეთის მეოთხე გვერდზე, სიტყვები: „ჩვენ რუსეთისაგან დამშვიდებას მოველოდით. და სხვ." შეცდომით ხმ. თუმანოვის ნათქვამად არის მიღებული ეს სიტყვები და სხვა ქვემოდ ეკუთვნის **ხმ. ბარათაშვილს:**

პრესსა

გაზ. „რუსკია ვედომოსტი"-ში დაბეჭდილია ბ-ნ ხახანაშვილს გრძელი წერილი საქართველოს ეხლანდელ მდგომარეობის შესახებ.

ბ-ნი ხახანაშვილი ამბობს, რუსულ ჟურნალ-გაზეთებში ქართველებს საზოგადოდ ნაკლებად აქცევენ ყურადღებას. ქართველებს წაერთვათ საკუთარი ეკლესია, ქართული წირვა-ლოცვა; მღვდელ-მთავრებად გაგზავნილი რუსები მასხარად იგდებდნენ ქართულ ენას და საზოგადოდ ქართველებსო.

> „ერთმა მათგანმა განაცხადა, ქართული ენა ძაღლის ენა არისო, ქართველების საეკლესიო გალობა — მგლების ყმუილი... რაღად უნოდა უკვირდეს ადამიანს, თუ ბავშვები იწყებენ ამნაირ მოქცევას, არეულობას იწყებენ და ხელს იღებენ სწავლაზე. ერთი პედაგოგი, რომელიც ქართველ მოწაფეს ისე არ გამოუძახებდა კლასში, რომ ზედ არ დაერთო სიტყვა „თავის ტომარა", ეხლა დიდ თანამდებობის კაცი შეიქმნა და მის სურვილზე არის დამოკიდებული იმ ეროვნების ბავშვები, რომელიც მას სძულს და ეჯავრება.
>
> ქართველებს სასწავლებელში არ ასწავლიან მათ დედა-ენას, — რას იტყოდნენ ნეტავი რუსები, მათ სასწავლებლებში რომ მოსპობილიყო რუსულის სწავლება; შემოიღეს რაღაც „მუნჯური მეთოდი", რომელიც უარჰყოფს დედა-ენას სასწავლებელში.
>
> საშუალო სასწავლებელში ქართულს ასწავლიან მე ამე კლასსამდის, მაგრამ ასწავლიან ისე, რომ ბავშვმა ნამდვილად ვერაფერი ისწავლოს...
>
> ქართველებს უნდათ სახელმწიფო ენა შეისწავლონ, მაგრამ ამასთანავე უნდათ იცოდნენ თავიანთი დედა-ენა, ისტორია და მწერლობა, არ უნდათ გადაგვარების გზაზე დადგომა. რა არის აქ მთავრობისთვის საშიში?
>
> ქართული ენა განდევნილია აგრეთვე სასამართლოში და ადმინისტრაციაში. ხალხმა არ იცის რუსული და ამიტომ ყველგან შემოიდა თარჯიმანები, რუსი — მოხელეები ვერ ელაპარაკებიან ხალხს პირდაპირ, რადგანაც არ იციან ადგილობრივი ენა. თარჯიმანებიც სუსტობენ რუსულში და ამის გამო ხშირად ისეთი შეცდომები მოდის, რომელიც მეტად ავიწროვებს ქართველებს. ერთად-ერთი ხსნა ის არის, რომ ქართველებს აყენებდნენ ყველა თანამდებობაზე და რომ ხალხს მიენიჭოს უფლება გამოსთქვას თავისი გასაჭირი თავისსავე ენაზე.
>
> ქართული ენის დევნა, სისტემატიური დევნა ქართველ ადმინისტრატორებისა, მსაჯულების, მასწავლებლების, ღვდლებისა და მოხელეების, მათი გადაყვანა იქ, სადაც არ არის ქართველი ერი, — იწვევს უკმაყოფილებას მათში და ხალხშიაც.
>
> ქართველებს არა აქვთ უფლება დასახლდნენ შავი ზღვის ნაპირას და იქ ასახლებენ რუსეთიდან გადმოსულ გლეხებს. ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებში ადგილის საშინელი სივიწროვეა, — რუსეთიდან გადმოსულ გლეხს ხაზინა აძლევს თვითოს 20—30 დღიურს, იქვე კი არის მშიერი ქართველი, რომელსაც ნახევარი ან ერთი დღიური შერჩენია, უპირს და ამაოდ თხოულობს ადგილის მიცემას... ადგილ-მამულის სივიწროვემ სოფლად არეულობა გამოიწვია, ზოგან ავაზაკობაც, და ამ ავაზაკობას ვერაფერი უყო თ-დ გოლიცინისაგან შემოღებულ „სტრაჟნიკობამ", თუმცა ამ სტრაჟნიკებზე ყოველწლიურად ორ მილიონ მანეთზე მეტს იხდის კავკასია. ეს აუარებელ ფულს რომ მოხმარებოდა სწავლა-განათლებას, რომ მიეღოთ ზომები საადგილ-მამულო საქმის მოწესრიგებისთვის, ხალხიც დამშვიდდებოდა და არ შეიქმნებოდა საჭირო პოლიციის გაძლიერება.
>
> გურიაში დაწყებული საადგილ-მამულო მოძრაობის მოსპობა თუ უნდა მთავრობას, — ამ მიზნის მიღწევა ადვილია, — საკმარისია ქართველებს შავი ზღვის ნაპირას დასახლების უფლება მიეცეთ.
>
> ამ ადგილებში ქართველები უნდა დასახლდნენ, ქართველები წინეთაც გადასახლებულან, მაგ., ქ. გროზნასთან, მაგრამ ადმინისტრაციამ იქიდან აჰყარა და უმიწა-წყლოდ, უადგილ-მამულოდ დასტოვა.
>
> ქართველი ხალხი წარსულ საუკუნოების განმავლობაში მომთმენი შეიქმნა, მაგრამ საზღვარი ყველაფერს აქვს და მათ მოთმინებასაც შეიძლება მოეღოს ბოლო.
>
> საჭიროა დროზე მიექცეს ყურადღება ხალხის საჭიროებას და აღელვების დასამშვიდებლად საჭიროა მოისპოს ყველა ის პირობა რომელიც ქართველ ერის ბუნებრივ განვითარებას აფერხებს...

რუსეთი

აკადემიკოსის ლერუა-ბოლიეს აზრი რუსეთის შესახებ. ფრანგი სწავლული რუსეთის უბედურების მიზეზს მისს ბიუროკრატიულ, ადმინისტრატიულ და პოლიციურ თვითნებობაში ხედავს. მისი აზრით, ეს სენი და უბედურება რუსეთის ცხოვრებას საუკუნოებით აქვს შესისხლ-ხორცებული. ამიტომაც მისი მოსპობა დღევანდელი რეჟიმის შეუცვლელად ისეთივე ცრუ და უმნიშვნელო ცდა იქნება, როგორც მიზეზის ხელუხლებლად შედეგის უარ-ყოფა. 140 მილიონ მცხოვრებს უდიდეს იმპერიისას არავითარი უფლებრივი გარანტია არ გააჩნია, რომ პოლიციურ და ადმინისტრატიულ ძალმომრეობას წინ აღუდგეს და შეაკავოს აუცილებლად საჭირო კონტროლი, მაგრამ ვის მიანდონ იგი? ბიუროკრატიას და პოლიციას, რომელთაც ვეებერთელა იმპერიის ბატონობა ხელთა აქვთ და რომელნიც განაგებენ საქმით მთელის ერის ბედ-იღბალს? ტყუილი ცდაა ხალხის და მის წარმომადგენლების გარეშე ეისმეს მიანდონ ამისთანა კონტროლი. ამიტომაცაა, რომ დღეს ყოველი რუსი, კონსერვატორიც კი, ითხოვს სიტყვის და წერის თავისუფლებას. არ შეიძლება რუსეთის საზოგადოებას მუდამ პირზე კლიტე ედოს და თავის ცხოვრებაზე ხმას არ იღებდეს; დროა, დიდი ხანია დროა, მიეცეს მასაც ნება ილაპარაკოს. დროა, სრულ წლოვანად იყოს იგი ცნობილი და ბიუროკრატიის კლანჭებიდან განთავისუფლებული. ამ აზრებს რომელიც რუსეთისათვის არ ახალია, ძველია, დღევანდელმა ცხოვრებამ განსაკუთრებული ძალა და მნიშვნელობა მისცა. ომი თავისი ასეთი მოულოდნელი შედეგებით და სირცხვილითა და გაჭირებით, რაც დღეს მთელს ერს დაატყდა თავს, — ახალ იარაღად გადიქცა ლიბერალების ხელში, რომლითაც უკანასკნელთ მძლავრი იერიში მიაქვთ რუსეთის აბსოლიუტიზმის თვითნებობის წინააღმდეგ, იმ აბსოლიუტიზმის რომელსაც დღეს საერთო ერის ხმა ბრალსა სდებს, შენ დაატეხე თავს რუსეთს საუბედურო საფრთხე, შენ დაიწყე უფიქრელად და მოუმზადებლად ეს უაზრო ომიო. ამ 12 თვის განმავლობაში ძლეული იქმნა, ჯარი, ფლოტი კი არა, არამედ ბიუროკრატია, — მიზეზი იმ უიმედობისა და სირცხვილისა, რომელსაც განიცდის ეროვნული თავმოყვარეობა. გენერალ სტესელის კაპიტულიაციას ბიუროკრატიის კაპიტულიაცია უნდა მოჰყვეს და პორტ-არტურის დანგრევამ ადმინისტრატიულ თვითნებობის დამხობა უნდა გამოიწვიოსო.

ამაზეა დამყარებული რუსეთის მომავალი ბედი და რუსის ერის ჭეშმარიტი განვითარება. მარტო წვრილ და უმნიშვნელო ცვლილებების შემოღება, ქუჩებში მანიფესტაციების ჩაქრობა და მოსპობა, მთელი იმედის თოფებზე და ზარბაზნებზე დამყარება, ან, კიდევ, შორეულ აღმოსავლეთში საეჭვო გამარჯვებით სახელმწიფოს პრესტიჟის აღდგენა — ყველა ეს რჩევა, ყველა ეს გარდაწყვეტილება, შეიძლება, მძიმე შეცდომების წყაროდ იქცეს, შეცდომების, რომელიც, როგორც თვით დინასტიას, ისე ერის მომავალსაც საშიშარ გასაჭირში ჩააგდებსო (რ. ვ.)

კორესპონდენცია

ბათუმი, მარტი 1905 წ. გუშინ გენერალმა ალიხანოვმა დეპეშით დაიბარა ნატანებში ქუთაისის პოლიცმეისტერი, რომელიც გუშინ საღამოსვე ჩამოვიდა. ჯარი ჯერ ისევ ნატანებშია.

დღეს აქ სწავლის თავი მიანებეს სამოქალაქო ქალსა კლასიანმა, საქალებო მარიამისა და ქართულ წერა-კითხვის გამ. საზოგადოების სკოლების მოსწავლეებმა. სამოქალაქო ქალსა კლასიანი სკოლის ერთ მოწაფეს რეზოლიუცია უნდა წაეკითხა და ამისათვის ინსპექტორისაგან ნებართვა ითხოვა. ინსპექტორი ბ. სუმაროკოვი მიიჭრა მოწაფესთან და უთხრა, ჯერ მაჩვენე და შემდეგ წაიკითხეო, და ხელში ეცა ბავშს. ბავშმა ქაღალდს ხელი არ გაუშვა, ქაღალდი შუაზე გაიხა. ეს ძალადობა ემაწვილებმა ძლიერ ითაკილეს, გამოხტა ერთი მეექვსე კლასის მოწაფე და აღელვებით უთხრა ინსპექტორს, როგორ ბედავთ ასეთ თავხედობას, რა უფლება გაქვთ, ქაღალდი ხელში ჩაგვახიოთო! რადი რომ არა გვქონდეს, ჩვენ ვიცით ასეთი საქციელისთვის რა გეკუთვნითო შემდეგ წერილის ნაწყვეტიდან მაინც წაიკითხეს რეზოლიუცია. ინსპექტორი მოლბა და თქვა, ჩემთვის რომ დროზე გეჩვენებიათ, არაფერი საწინააღმდეგო არ მექნებოდა ამის წაკითხვაზეო. რეზოლიუციას საზოგადო ხასიათი ჰქონდა. სანამ დღევანდელი, მთელი რუსეთისათვის აუტანელი, მდგომარეობა საუკეთესოდ არ შეიცვლება, ჩვენ სწავლა არ შეგვიძლიაო. აქედან ყველა მოწაფეები დემონსტრატიულად ერთად გამოვიდნენ გარედ. სამი მოწაფე წავიდა მარიამის ქალების სასწავლებელში და ქალიშვილებმაც მათი დანახვისთანავე სწავლას ხელი აიღეს. ეს სამი მოწაფე პოლიციამ შეაპყრო და პოლიციაში მოჰყავდათ. ორი ემაწვილი ხელიდან გაუსხლტა და გაიქცა, მესამე დაატუსაღეს. ხვალ ელოდებიან ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების მოწაფეთაგან სწავლის აკვეთას.

როგორც იქნა, რუსის საზოგადოების ნოქართა მოთხოვნილებას ოდნავ დააკმაყოფილეს, თითოეულს ჯამაგირზე 30% მიუმატეს. ამ საქმის შუამავლობა იკისრა აქაურმა ქალაქის მოურავმა თავ. ანდრონიკაშვილმა.

ამ რამდენისამე წლის წინად მუშების უმოწყალოდ ამოწყვეტის სახსოვრად, ხვალ, 9 ამ თვეს, ყოველგან მუშაობა შესწყდება და დუქნები დაიკეტება.

მხოლოდ დღეს დაიწყეს მუშაობა. დამოჟნისა და დვირთის სადგურზე მუშები საქმეს ნელ-ნელა უბრუნდებიან. ამბობენ, ამ დღეებში ბარცხანაში პოლიციის სახლები გაუჩხრეკია და სამასი რევოლვერი წაუღია.

აქ ყოველ-დღე ხალხს პოლიცია აჩხრეკს. საპყრობილეში ტევა აღარ არის.

უკანასკნელად შორეულ აღმოსავლეთში რუსების ისე სასტიკად დამარცხებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა.

არავის სჯერა, რომ შორეულ აღმოსავლეთში რუსებმა ომი მოიგონ, სანამ რუსეთის შინაური საქმეები საუკეთესოდ არ შეიცვლება და ხალხი არ დაკმაყოფილდება.

აქაური ვაჭრობა — აღებ-მიცემობის საქმე ჯერ შეფერხებულია; ხალხი ძლიერ აღელვებულია.

ბათუმის ბატარეების ზარბაზნები ბარცხანისკენ მიაბრუნეს, ყველა საშინელ მოლოდინშია.

აქაც ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ბატონ ქადანთარიას და ტფილისის ხმოსანთა საქციელმა, რომელიც „ივერიის" მთავარში № 17, 18 იყო აღნიშნული. თუ ბ-ნ ალექსანდრე ხატისოვის წერილის შემდეგ შეცდომა არ გასწორდა, აქაურები წერილობით პროტესტის გამოცხადებას აპირობენ.

რია.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

13 მარტი.

პეტერბურგი, 12 მარტი. უმაღლესის ბძანებით ალექსანდრეს დაჭრილთა კომიტეტის წევრი გენერალ-ადიუტანტი გრიპენბერგი დათხოვნილია მანჯურიის მეორე ლაშქრის სარდლის თანამდებობიდან, ხოლო წოდება გენერალ-ადიუტანტისა და კომიტეტის წევრობისა ისევ შერჩება. გზათა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, რომ ამას შემდეგ, ომის გათავებამდე შორეულ-აღმოსავლეთში, დაჭრილ და ავადმყოფ აფიცრებს, რომლებიც ომის ველიდან უკან მოდიან, წითელის ჯვრის მოწმობებით, მსწრაფ-მატარებლების მეორე კლასის ვაგონებში 1—3 ადგილი დაეთმობათ უფასოდ.

პეტერბურგი. უქვეშევრდომილესი დეპეშები გენერალ ლინევიჩისა: 1) ღამის 8 საათ. 14 წ. წუხანდელმა ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა 2) ნაშუადღევის 6 ს 50 წ.: დღეს ლაშქრებში ცვლილება არ მომხდარა. სადგურ შუანმაუზასთან მტრის პატარა რაზმები მოდიან.

შანჰაი, 12 მარტი. აქ ჩამოსული პორტ-არტურის მცველნი ამბობენ, იაპონელები მეტად საძაგლად ეპყრობიან ტყვეებსაო. ყველა დაბალ ჯარის კაცებსა თუ აფიცრებს, მუშებსა და დედაკაცებსაც კი ერთად ამწყვდევენ და ფეხში სცემენ, თუ რიგზე არ დგანანო; თავშესაფარებში ცოტას აჭმევენ და აფიცრებსაც-კი უსაფენო იატაკზე აწვენენო. — ტოკიოს იურისტებმა დაადგინეს, ჩინეთის თვითარსებობისათვის და ხელუხლებლობისათვის, ჩინეთის მთავრობა მოვალეა სამუდამოდ ჩააბაროს იაპონიას კონტროლი და გამგებლობა მანჯურიაში.

ლონდონი, 12 მარტი. «ლლოიდი» იუწყება ტამატავიდან, რუსის ესკადრა აქედან სადღაც წავიდაო,

სუეცი, 12 მარტი, ნებოგატოვის ესკადრის დანარჩენი გემებიც აქ მოვიდნენ.

კილი, 12 მარტი. პრინც გენრიხის მეუღლე ადგომის შემდეგ რამდენსამე ხნით ცარსკოე სელოში წავა.

მინსკი. საგუბერნიო კომიტეტმა გამგეობის განკარგულებაში გადასცემად გადასდო 25,000 მანათი ხოლერის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად. დადგენილია, ექიმთა რიცხვი უფროს კურსების სტუდენტებით შეავსონ, მაზრის სასანიტარო დასები დაარსონ და ხალხში ხოლერის შესახებ ცნობები გაავრცელონ.

ნოვოუზენსკი. საერობო გამგეობასთან არსებულმა საეკონომიო რჩევამ გლეხობის წარმომადგენელთა მონაწილეობით დაადგინა სთხოვოს ერობას იშუამდგომლოს, რომ პირველ დაწყებითი სწავლების საქმე მთლად ერობის ხელთ გადავიდეს, მცირე მამულიან საზოგადოებათ სახაზინო მიწა დაეთმოს და ნოვოუზენსკის მაზრაში არავინ დაასახლონ გუბერნიის სხვა მაზრიდან, სახაზინო მამულების იჯარა მოწესრიგდეს და გლეხობა ადმინისტრაციის მზრუნველობისაგან დაუყონებლივ განთავისუფლდეს, რადგან ხალხის თვითმოქმედების გაძლიერებას აფერხებს.

მოსკოვი, 12 მარტი. პედაგოგიურმა საზოგადოებამ საერთო კრებაზე საჭიროდ დაინახა პედაგოგიურ რჩევებზე, პრესსაში და კრებებზე ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სურვილს ეხლანდელ რუსეთის სკოლის ძირითად ნაკლულოვანობათა მოსაცილებლად. საზოგადოება დააარსებს კომისიას, პროფესსორების მონაწილეობით, სახელმწიფო მოწესრიგების პროექტის შესამუშავებლად.

პეტროპავლოვსკი, 13 მარტი. ნოქრების პირველი კრება შესდგა, რომელმაც მათი მდგომარეობის გაუმჯობესობის ღონისძიება უნდა გამოარკვიოს

სოფია. გამოირკვა, რომ ორივე სომეხი, ვიტოშის მთაზე დინამიტით მოკლული, სასტუმრო «ბულგარიაში» სცხოვრობდნენ სოფიაში. ერთი ბულგარის ქვეშევრდომად იწოდებოდა და ყორისის გვარს ატარებდა. არც თვით მოკლულებთან და არც მათ სადგომში არავითარი საბუთის ქაღალდი არ აღმოჩნდა. ამიტომ საქმის გამორკვევა ძნელდება.

პარიზი. ინდოეთის ოკეანეზე ციკლონი მძვინვარებდა. მადაგასკარზე, მანანჯარის მიდამოებში, ბევრი შენობა და ზოგი ხოველი დაზიანდა. დიეხო-სუარეზ და კუნძულის ჩრდილოეთად ტელეგრაფის მავთულები დაწყვეტილია.

რომი. ტიტტონმა მეფეს თხოვნა მიართვა თავის კაბინეტის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

ლისაბონი. დიდი მზადებაა იმპერატორ ვილჰელმის დასახვედრად. ინგლისის დედოფალი კადიკს წავიდა, სადაც თავის ვინაობას არ გაამხელს და გრაფინია პარიზელისას ესტუმრება.

ვილლა-მანრიკე. ჩავიტა-ვეკკიას „ზემი გოგენცოლერნი" მოვიდა, რომელზედაც გერმანიის იმპერატრიცა და პრინცები ეიტელი და ოსკარი არიან. მოვიდნენ აგრეთვე იტალიის მეფე-დედოფალი, იმპერატრიცას მიესალმნენ და ისევ რომს დაბრუნდნენ.

თავრიზი. სომხები მეტად შეფიქრდნენ, რადგან ამბავი მოვიდა, სომხებსა და სპარსელებს შეტაკება მოსდით ურმიაშიო.

ხარკოვი. ხარკოვის უნივერსიტეტში საექიმო ფაკულტეტის კომისია აპირობს ეგზამენები დაიწყოს 28 მარტს. სტუდენტებმა ეხლავე თხოვნები უნდა შეიტანონ.

მოსკოვი, 12 მარტი. დაბრუნდნენ მოსკოვის საბჭოს დეპუტაციის ხმოსნები და ამბავი მოიტანეს, შინაგან საქმეთა მინისტრი ვნახეთ და გვითხრა, ვერ წარმომიდგენია რომ განზრახულ საბჭოში საზოგადოებათა სამმართველოებმაც მონაწილეობა არ მიიღონ. ხოლო მოწვევის წესი ხელმწიფემ უნდა განგვიმარტოსო.

პეკინი, 13 მარტი. იაპონელებს განუზრახავთ ინკოუში მკვიდრ მცხოვრებთ გადასახადი შემოსავლის კვალობაზე შეაწერონ.

პეკინი, 12 მარტი. გაზეთი „სილვენვათ" იუწყება, ჩინეთის მთავრობის მინდობილობით ინგლისელი ადვოკატი მოთხოვნილებას წარუდგენს პეტერბურგში, რომ მატროსის აკვევის საქმე გადასინჯონ

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში — ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ. (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუადღევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 1 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 50 წ. (1 ს. 03 წ.) 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.), 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. 3 ს. 18 წ.; 4) სამგზავრო № 57 საღამოს ს. 206 წ. (7 ს. 18 წ.)

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში — 12 მ., ცალკე ოთახში — 60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი კ. გლელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი — ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 13 марта 1905 г.
ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა" ფრეილინის ქ. № 5.